ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6558024

ნომერი: AR1977354

თარიღი : 10.07.2023

გაცემის თარიღი : 12.07.2023

გაცნობის თარიღი : 12.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N12 / ლუბლიანას ქუჩა N66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N12/ლუბლიანას ქუჩა N66, არსებული შენობის სახურავზე შპს „მაგთიკომის“ ანტენების განთავსებას.
მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882023702068 10/07/2023წ. საკადასტრო კოდი № 01.13.01.015.128, საპროექტო ფოტომონტაჟი; მესაკუთრეთა თანხმობა, ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ჰიგიენური დასკვნა პროექტზე N262 05.08.2022 წ., მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N12/ლუბლიანას ქუჩა N66, არსებული შენობის სახურავზე შპს „მაგთიკომის“ ანტენების განთავსების შესაძლებლობას.
- საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციის მდგრადობა. დაცული იქნას შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაცული იქნას შესაბამისი უსაფრთოების ნორმები.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.